

საზოგადოებრივი მაუწყებლის
საბანბნო ბანცხადება

ბოლო დროს გახშირდა ჟურნალისტებზე ზეწოლის მცდელობა. ცალკეული პირები დაშინებისა თუ დაპირებების ხარჯზე ჟურნალისტებზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ.

შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ თუ აქამდე ჟურნალისტებზე თავდასხმა თავისი ფორმით არ ცდებოდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცყოფას, ახლა, 9 აპრილის მოახლოებასთან ერთად ცალკეული დაჯგუფებები ჟურნალისტების გადაბირებისა და დაშინების გაცილებით უფრო ამორალურ მეთოდებზე გადავიდნენ. კერძოდ, საქმე გვაქვს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტების მოსყიდვის მცდელობასა და მათი და მათი ოჯახის წევრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის მუქარასთან.

საზოგადოებრივი მაუწყებელი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნებისმიერი ფორმებით ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტებს, მითუმეტეს, ისეთ უხეშ მცდელობას, როგორც ბოლო პერიოდში ვიხილეთ და ყველა მედია საშუალებას მოვუწოდებთ გავერთიანდეთ ამდაგვარი ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოვუწოდებთ ყველას, უფრო მეტი პატივისცემით მოეკიდონ ჟურნალისტებს და მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მათ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას.

ვთხოვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს უფრო მეტი ყურადღება გაამახვილონ ჟურნალისტების პრობლემებზე და დაინტერესდნენ მედიაზე ზეწოლის ფაქტებით.

საზოგადოებრივი მაუწყებელი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ არ გადაიქცევა არცერთი პოლტიკური პარტიის პროპაგანდისტულ იარაღად და მხოლოდ თავად, დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებებს სატელევიზიო პროგრამების შინაარსისა და ფორმის შესახებ.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი